ამონაწერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 18 დეკემბრის სხდომის

#13 ოქმიდან

2020 წლის 18 დეკემბერს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 25.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებატა ფაკულტეტის ბიუჯეტის შესახებ;
2. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს გააცნო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **დებულებაში შესატანო ცვლილებები**, რაც განპირობებული იყო თსუ-ის ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ საშტატო განრიგში განხორციელებული ცვლილებებით.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა გ.ღვედაშვილმა, ნ.შათაშვილმა, ა.შენგელაიამ, ბ.თუთბერიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შევიდეს შემდეგი ცვლილება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში -

მუხლი 19. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

პუნქტი 3. „დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში შესაძლოა არსებობდეს შემდეგი თანამდებობები: დამხმარე სტრუქტურული ერთეულის უფროსი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, მდივანი.“

ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში შესაძლოა არსებობდეს შემდეგი თანამდებობები: დამხმარე სტრუქტურული ერთეულის უფროსი, მთავარი

სპეციალისტი (1 კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (2 კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, მდივანი.“

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

N 22124/28 21/12/2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,

ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად გთხოვთ განიხილოთ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატანი შემდეგი ცვლილება:

მუხლი 19. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

პუნქტი 3. ნაცვლად „დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში შესაძლოა არსებობდეს შემდეგი თანამდებობები: დამხმარე სტრუქტურული ერთეულის უფროსი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, მდივანი.“

ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3. დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში შესაძლოა არსებობდეს შემდეგი თანამდებობები: დამხმარე სტრუქტურული ერთეულის უფროსი, მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია), მთავარი სპეციალისტი (2 კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, მდივანი.“

აღნიშნული საკითხი განხილული და დამტკიცებულია დაკულტეტის საბჭოს მიერ 2020 წლის 18 დეკემბრის სხდომაზე.

პატივისცემით,

რამაზ ხომერიკი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
ადმინისტრაცია